

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს  
2011 წლის 2 მარტის სხდომის  
ოქმი №9

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომას, საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის 35 წევრიდან, ესწრებოდა 28. სხდომას უძღვებოდა სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი, პროფ. ჯემალ გახოკიძე.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი (იხ. დანართი) და კენჭისყრაზე დააყენა მისი დამტკიცების საკითხი.

**წარმოდგენილი დღის წესრიგი კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.**

**სპიკერი:** განვიხილოთ დღის წესრიგის პირველი საკითხი – წარმომადგენლობითი საბჭოს შემადგენლობაში ცვლილების შეტანის შესახებ;

**სპიკერი:** წარმომადგენლობით საბჭოს არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტიდან შემოემატა ახალი წევრი, ბატონი ბიძინა ბენაშვილი. მინდა კენჭისყრაზე დავაყენო ეს საკითხი და მხარი დაუჭიროთ წარმოდგენილ კანდიდატურას.

**წარმომადგენლობითმა საბჭომ ერთხმად დაუჭირა მხარი წარმოდგენილ კანდიდატურას.**

**ბ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №1**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 2 მარტის №9 სხდომაზე საბჭოს სპიკერმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს შემადგენლობაში ცვლილების შესახებ.

**საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით დამტკიცდა არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის პროფესორის ბიძინა ბერიშვილის უფლებამოსილების ცნობის საკითხი.**

**სპიკერი:** განვიხილოთ დღის წესრიგის მეორე საკითხი – აკადემიური საბჭოს 2010 წლის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ. აკადემიური საბჭოს დადგენილება №405 – მომსახურებელი პროფ. გ. სალუქვაძე.

**პროფ. გიორგი სალუქვაძე:** ინფორმაციის სახით წარმოგიდგინთ აკადემიური საბჭოს 2010 წლის ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ. აკადემიური საბჭოს სამდივნო ვალდებულია ანგარიში წარმოადგინოს წარმომადგენლობითი საბჭოს

წინაშე: ჩატარდა 28 სხდომა, გვაქვს მიღებული 196 დადგენილება. საჭიროების შემთხვევაში მე შემიძლია ყველა დადგენილება სათითაოდ გაგაცნოთ.

**პროფ. იგორ კვესელავა:** ბატონო გიორგი, თქვენ მიერ მიღებული დადგენილებების შესრულებაზე კონტროლი როგორ ხორციელდება?

**პროფ. გიორგი სალუქვაძე:** ამაზე პასუხისმგებელი აკადემიური საბჭო არ არის.

**პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი:** იქიდან გამომდინარე, რომ დებულებები და ბრძანებები სხვადასხვა ხასიათისაა და გათვლილია ფაკულტეტებზე, მათი შესრულების ხარისხზე პასუხისმგებელი ფაკულტეტის დეკანია.

**პროფ. გიორგი სალუქვაძემ ინფორმაციის სახით წარმოადგინა მოხსენება აკადემიური საბჭოს 2010 წლის გაწეული მუშაობის შესახებ.**

**სპიკერი:** განვიხილოთ დღის წესრიგის მესამე საკითხი – სტუ-ს რექტორის მოადგილის, პროფ. ლევან კლიმიაშვილის მოხსენებითი ბარათის შესახებ (2010 წლის სტუდენტთა სასტიპენდიო ფონდის თაობაზე). აკადემიური საბჭოს დადგენილება №406 – მომხსენებელი პროფ. გიორგი აბრამიშვილი.

**პროფ. გიორგი აბრამიშვილი:** წამოგიდგენთ საკითხს სტუ-ს რექტორის მოადგილის, პროფ. ლევან კლიმიაშვილის მოხსენებითი ბარათის შესახებ (2010 წლის სტუდენტთა სასტიპენდიო ფონდის თაობაზე).

**სპიკერი:** თუ არ გაქვთ შეკითხვები, კენჭი ვუყაროთ წარმოდგენილ საკითხს.

**სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მესამე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.**

## ბ ა დ ა ვ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 2 მარტის №9 სხდომაზე პროფ. გიორგი აბრამიშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ს რექტორის მოადგილის, პროფ. ლ. კლიმიაშვილის მოხსენებითი ბარათის შესახებ (2010 წლის სტუდენტთა სასტიპენდიო ფონდის თაობაზე). სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2011 წლის 22 თებერვლის დადგენილება №406.

*წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით დამტკიცდა სტუ-ს აკადემიური საბჭოს №406 დადგენილება: აკადემიური საბჭოს 2010 წლის 24 მარტის №219 დადგენილების თანახმად, შევიდეს ცვლილება სტუ-ში შექმნილ 2010 წლის სტუდენტთა სასტიპენდიო ფონდის კომისიის შემადგენლობაში და იგი 2011 წლისათვის ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:*

ლევან კლიმიაშვილი – რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში, სრული პროფესორი (თავმჯდომარე);

თამაზ ბაციკაძე – პერსპექტიული განვითარების სამსახურის უფროსი, სრული პროფესორი;

ჯუმბერ იოსებიძე – სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის №46 მიმართულების ხელმძღვანელი, სრული პროფესორი;

მამუკა სონღულაშვილი – რექტორის აპარატში კონსულტანტი;

ბორის გითოლენდია – სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის, სპორტისა და კულტურის დეპარტამენტის უფროსი (კომისიის მდივანი);

ზურაბ გედენიძე – სამშენებლო ფაკულტეტის დეკანი, სრული პროფესორი;

გია არაბიძე – ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის დეკანი, სრული პროფესორი;

ანზორ აბშილავა – სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, სრული პროფესორი;

ნუგზარ წერეთელი – ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის დეკანი, სრული პროფესორი;

ოთარ გელაშვილი – სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დეკანი, სრული პროფესორი;

გოჩა მიქიაშვილი – არქიტექტურის, ურბანისტიკის და ღიზანის ფაკულტეტის დეკანი, სრული პროფესორი;

რუსუდან ქუთათელაძე – ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი, სრული პროფესორი;

ზურაბ წვერაიძე – ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანი, სრული პროფესორი.

- სასტიპენდიო ფონდის კომისიამ იხელმძღვანელოს უნივერსიტეტის 2011 წლის ბიუჯეტში სტუდენტთა დასახმარებლად გამოყოფილი თანხის შესაბამისი მონაცემებით.
- ძალაში დარჩეს სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2010 წლის 4 მარტის №215 დადგენილება სტუ-ს სტუდენტების სასტიპენდიო ფონდის განკარგვის წესის შესახებ.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მეოთხე საკითხი – ფიზიკის დეპარტამენტის უფროსის პროფ. აკაკი გიგინეიშვილის მოხსენებითი ბარათი პროფესორების: მ. ჯიბლაძის, თ. ხოფერიას და ლ. გლურჯიძის აღნიშნულ

დეპარტამენტში მოწვევის შესახებ. აკადემიური საბჭოს დადგენილება №397 – მომხსენებელი პროფ. აკაკი გიგინეიშვილი.

**პროფ. აკაკი გიგინეიშვილი:** ყველა ზემოაღნიშნულ პროფესორს ვახასიათებ დადებითად, ასევე დავამატებ, რომ მათი მოწვევა მართლაც საჭირო და აუცილებელი იყო, ჩემი მხრიდან მისასალმებელი იქნება, თუ კიდევ მოხდება პროფესორების მოწვევა ფიზიკის დეპარტამენტზე.

**სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეოთხე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.**

### **ბ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №3**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 2 მარტის №9 სხდომაზე პროფ. აკაკი გიგინეიშვილმა წარმოადგინა საკითხი მ. ჯიბლაძის, თ. ხოფერიას და ლ. გლურჯიძის ფიზიკის დეპარტამენტში მოწვევის შესახებ. სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2011 წლის 22 თებერვლის დადგენილება №397.

*წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით დამტკიცდა სტუ-ს აკადემიური საბჭოს №397 დადგენილება: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფიზიკის დეპარტამენტის უფროსის პროფ. ა. გიგინეიშვილის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე მოწვეულ იქნენ აღნიშნულ დეპარტამენტში სრულ პროფესორებად: მერაბ ჯიბლაძე 600 საათზე, ლევან გლურჯიძე 600 საათზე და თეიმურაზ ხოფერია – 600 საათზე.*

*ანაზღაურება განხორციელდეს სტუ-ს 2011 წლის ბიუჯეტის შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში გათვალისწინებული ხარჯებიდან.*

**სპიკერი:** განვიხილოთ დღის წესრიგის მეხუთე საკითხი – ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტზე „ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის“ დეპარტამენტში პროფესორების: ნ. ჭიკაძის, ლ. მინდორაშვილის, მ. მაისურაძის, ვ. მოსიაშვილის და დ. ჩახვაშვილის მოწვევის შესახებ. აკადემიური საბჭოს დადგენილება № 403, – მომხსენებელი პროფ. რუსუდან ქუთათელაძე.

**პროფ. რუსუდან ქუთათელაძე:** ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის 5 უფროსი მასწავლებლის ასოცირებულ პროფესორებად მოწვევის საკითხმა უკვე გაიარა აკადემიური საბჭო. მათი ხელფასის ზრდა ძალიან მინიმალური იქნება. მოწვევის აუცილებლობა გამომწვეულია იმით, რომ მეორე სემესტრიდან ჩვენთან შემოდის საგანი - ეკონომიკის პრინციპები, სადაც სტუდენტების სიმრავლიდან

გამომდინარე გაიზარდა საათების რაოდენობაც. გარდა ამისა, თუ გაავითვალისწინებთ ჩვენ ფაკულტეტზე სტუდენტებისა და პროფესორების შეფარდებას, მართლაც აუცილებელია მათი მოწვევა.

**სპიკერი:** მე მინდა ქალბატონ რუსუდანს მხარი დაუჭიროთ, რადგან მისი კოლექტივის წარმოდგენელი ვარ და ვიცი, რა სიტუაციაა ფაკულტეტზე. მართლაც აუცილებელია რაოდენობრივად ცვლილებების შეტანა.

**პროფ. ივანე კვესელავა:** მინდა ავღნიშნო, რომ ზოგიერთ ფაკულტეტზე სიტუაცია ამ მხრივ პარადოქსულია, ანუ უფრო მეტი პროფესორი ჰყავთ, ვიდრე სტუდენტი. ამიტომ მინდა, რომ ეს თანაფარდობები გათვალისწინებული იქნეს რაოდენობრივად ცვლილებების დროს.

**სპიკერი:** ბატონო დავით თქვენთან მაქვს თხოვნა, მოამზადოთ სარეკომენდაციო წერილი და გაუგზავნოთ ყველა ფაკულტეტის ხელმძღვანელს, ასევე ქალბატონ ქეთევანს, სადაც იქნება ასახული თუ რა გამამართლებელი დოკუმენტი უნდა ახლდეს საკითხს, რომ იგი დავამტკიცოთ წარმომადგენლობით საბჭოზე. ასევე მინდა, რომ მსგავს გადაწყვეტილებებს თან ახლდეს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დასკვნა დაფინანსების წყაროს შესახებ, რის შემდეგაც ჩვენ გაგვიადვილებს გადაწყვეტილების მიღება. წინააღმდეგ შენთხვევაში მივუთითოთ, რომ საკითხი არ განიხილება.

**სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეხუთე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.**

#### ბ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №4

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 2 მარტის №9 სხდომაზე პროფ. რუსუდან ქუთათელაძემ წარმოადგინა საკითხი ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის „ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის“ დეპარტამენტში პროფესორების: ნ. ჭიკაიძის, ლ. მინდორაშვილის, მ. მაისურაძის, ვ. მოსიაშვილის და დ. ჩახვაშვილის მოწვევის შესახებ. სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2011 წლის 22 თებერვლის დადგენილება № 403.

*წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით დამტკიცდა სტუ-ს აკადემიური საბჭოს №403 დადგენილება: ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის „ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის“ დეპარტამენტში მოწვეულ იქნენ ასოცირებულ პროფესორებად: ნაზი ჭიკაიძე – 600 სთ, ლამარა მინდორაშვილი – 600 სთ, მამუკა*

მაისურაძე – 600 სთ, ვალერი მოსიაშვილი – 600 სთ და დავით ჩახვაშვილი – 300 სთ.

*ანაზღაურება განხორციელდეს სტუ-ს 2011 წლის ბიუჯეტის შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში გათვალისწინებული ხარჯებიდან.*

**სპიკერი:** განვიხილოთ დღის წესრიგის მეექვსე საკითხი – ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სფეროში პროცესების შემფასებელი მომსახურების სერთიფიცირების ორგანოს (სო)-ს დებულების დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს დადგენილება №399 – მომსახურებელი პროფ. გ. არაბიძე.

**პროფ. გია არაბიძე:** წარმოგიდგინოთ საკითხს ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სფეროში პროცესების შემფასებელი მომსახურების სერთიფიცირების ორგანოს (სო)-ს დებულების დამტკიცების შესახებ.

**სპიკერმა** კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეექვსე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

## ბ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №5

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 2 მარტის №9 სხდომაზე პროფ. გია არაბიძემ წარმოადგინა საკითხი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სფეროში პროცესების შემფასებელი მომსახურების სერთიფიცირების ორგანოს (სო)-ს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2011 წლის 22 თებერვლის დადგენილება №399.

*წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით დამტკიცდა სტუ-ს აკადემიური საბჭოს №399 დადგენილება საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სფეროში პროცესების შემფასებელი მომსახურების სერთიფიცირების ორგანოს (სო)-ს შექმნის შესახებ. ასევე დამტკიცდა მისი დებულება.*

**სპიკერი:** განვიხილოთ დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი – საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან არსებული სასწავლო-სამეცნიერო ხიდსაცდელი ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს დადგენილება №400 – მომსახურებელი პროფ. თ. ჭურაძე.

პროფ. თამაზ ჭურაძე: წარმოგიდგენთ საკითხს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან არსებული სასწავლო-სამეცნიერო ხიდსაცდელი ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

#### ბ ა დ ა ო ყ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №6

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 2 მარტის №9 სხდომაზე პროფ. თამაზ ჭურაძემ წარმოადგინა საკითხი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან არსებული სასწავლო-სამეცნიერო ხიდსაცდელი ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2011 წლის 22 თებერვლის დადგენილება №400.

*წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით დამტკიცდა სტუ-ს აკადემიური საბჭოს №400 დადგენილება საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან არსებული სასწავლო-სამეცნიერო ხიდსაცდელი ცენტრის შექმნის შესახებ. ასევე დამტკიცდა ამ ცენტრის დებულება.*

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მერვე საკითხი – სტუ-ს ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტთან არსებული „მაღალტემპერატურული თბოფიზიკური პროცესების სამეცნიერო-საინჟინრო ცენტრის" შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს დადგენილება №401 – მომხსენებელი პროფ. გია არაბიძე.

პროფ. გია არაბიძე: წარმოგიდგენთ საკითხს სტუ-ს ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტთან არსებული „მაღალტემპერატურული თბოფიზიკური პროცესების სამეცნიერო-საინჟინრო ცენტრის" შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მერვე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

#### ბ ა დ ა ო ყ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №7

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 2 მარტის №9 სხდომაზე პროფ. გია არაბიძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-ს ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტთან არსებული „მაღალტემპერატურული თბოფიზიკური პროცესების სამეცნიერო-საინჟინრო

ცენტრის" შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2011 წლის 22 თებერვლის დადგენილება №401.

*წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით დამტკიცდა სტუ-ს აკადემიური საბჭოს №401 დადგენილება სტუ-ს ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტთან არსებული „მაღალტემპერატურული თბოფიზიკური პროცესების სამეცნიერო-საინჟინრო ცენტრის" შექმნის შესახებ. ასევე დამტკიცდა ამ ცენტრის დებულება.*

**სპიკერი:** განვიხილოთ დღის წესრიგის მეცხრე საკითხი –საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან არსებული „ავტომატიზაციის სამეცნიერო-ტექნიკური ინოვაციების ცენტრის" შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს დადგენილება №402 – მომხსენებელი პროფ. ლ. იმნაიშვილი.

**პროფ. ლევან იმნაიშვილი:** წარმოგიდგინოთ საკითხს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან არსებული „ავტომატიზაციის სამეცნიერო-ტექნიკური ინოვაციების ცენტრის" შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ.

**სპიკერმა** კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეცხრე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

## ბ ა დ ა ვ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №8

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 2 მარტის №9 სხდომაზე პროფ. ლევან იმნაიშვილმა წარმოადგინა საკითხი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან არსებული „ავტომატიზაციის სამეცნიერო-ტექნიკური ინოვაციების ცენტრის" შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2011 წლის 22 თებერვლის დადგენილება №402.

*წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით დამტკიცდა სტუ-ს აკადემიური საბჭოს №402 დადგენილება საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან არსებული „ავტომატიზაციის სამეცნიერო-ტექნიკური ინოვაციების ცენტრის" შექმნის შესახებ. ასევე დამტკიცდა ამ ცენტრის დებულება.*

**სპიკერი:** განვიხილოთ დღის წესრიგის მეთექვსმეტი საკითხი – სტუ-ს რეორგანიზაციის შედეგად მთავრობის დადგენილებით შემოერთებული კვლევითი ინსტიტუტების საშტატო განრიგებისა და ამ ინსტიტუტების დაცვასთან დაკავშირებული ხარჯებით გამოწვეული ცვლილებების შეტანა სტუ-ს საშტატო



განრიგსა და ნაერთ ბიუჯეტში – მომხსენებელი ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი.

**პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი:** თქვენთვის ცნობილია, რომ მთავრობის დადგენილებით შემოგვიერთდა 12 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. ცხადია, მათ მოჰყვათ სახელმწიფოსაგან დაფინანსებაც. წერილი მიღებულია მიმდინარე წლის 28 იანვარს, და მასში სახელმწიფო მუხლობრივად გვიმარტავს, თუ რა თანხას გვაძლევს და რისთვისაა იგი განკუთვნილი. ამ ინსტიტუტებისათვისაც ცნობილი იყო თანხის რაოდენობა და აქედან გამომდინარე დაევალოთ საშტატო განრიგების შედგენა, რომელიც უკვე წარმოადგინეს. თქვენ ალბათ გაეცანიოთ და შეამჩნიეთ, რომ კადრების შემცირება განხორციელდა იმის მიხედვით, თუ რა თანხა იქნა გამოყოფილი მათთვის. ასევე სახელფასო ფონდი შედარებით უფრო დაბალია. როდესაც გვიერთდება დაწესებულება, გვიერთდება თავისი პასივებით – ამ შემთხვევაში მათ აქვთ დავალიანება და ეს გახლავთ: ინტერნეტი, ტელეფონი, წყალი და ელექტროენერგია. ჩვენ ეს დათვლილი გვაქვს და ისინი ფაქტობრივად ამას ფარავენ თავისი დარჩენილი თანხით. რაც შეეხება მომდევნო სიტუაციას, ცხადია, მათ ექნებათ კომუნალური გადასახადები. ეს ადამიანები მუშაობენ და აქვთ გრანტები, რომლიდანაც შემოსდით ფული. გარდა ამისა, მინდა გითხრათ, რომ თითქმის ყველა ინსტიტუტის ფართები არის გაიჯარებული. ცხადია, ჩვენ ამ იჯარის თანამონაწილედ ვხდებით, მაგრამ ერთი მონიტორინგის ჩატარებაც მოგვიწევს დეტალების დასადგენად, რომელზეც იმუშავებს შესაბამისი განყოფილება და წარმოადგენს თავის დასკვნას. ერთი სიტყვით, დღევანდელი მდგომარეობით მათ აქვთ ბიუჯეტები, საშტატო განრიგები, რომელებიც უკვე წარმოდგენილი და შემცირებულია, გარდა ამისა, ის ვალები, რომელებიც მათ გადმოჰყვათ, ჩვენი გადასახდელი არ არის.

**პროფ. ნოდარ ქაჯაია:** მაინტერესებს, თუ ჩატარდება მონიტორინგი ამ შემოერთებული ინსტიტუტებისა მათ მიერ ერთი წლის განმავლობაში გაწეული სამუშაოს და შესაბამისი ანაზღაურების თვალსაზრისით.

**პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი:** ჩემთვის აბსოლუტურად გასაკებია ეს კითხვა, უბრალოდ, ამ შეკითხვის ადრესატი მე არ ვარ, რადგან ისინი არ არიან ანგარიშვალდებული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წინაშე.

**სპიკერი:** ვინაიდან ქალბატონი ქეთევანის მიერ წარმოდგენილი საკითხი ეხება ფინანსებს, მინდა, ამასთან დაკავშირებით საკუთარი აზრი გამოთქვას ბატონმა დავითმა.

**პროფ. დავით ჯაფარიძე:** სახელმწიფომ ინსტიტუტებს გამოუყო თანხა, რომლის ბიუჯეტიც ჩვენ უნდა დავამტკიცოთ, ხოლო რაც შეეხება ჩვენს როლს ამ სიტუაციაში, ვფიქრობთ, რომ სადავო არაფერი გვაქვს ანუ მიზნობრივი

ხარჯთაღრიცხვა და საშტატო განრიგი წარმოდგენილია. ასევე აღნიშნეს, რომ ამაზე მეტ ცვლილებებს საშტატო განრიგში არ შეიტანენ, ამიტომ ჩვენთვის მისაღებია აღნიშნული საკითხი.

**პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი:** ისევ ვაგრძელებ განათლების სამინისტროდან მოსული წერილის განხილვას, ანუ აქ არის ცალკე გამოყოფილი დამატებითი თანხა ნაგებობების, სპეციალური სისტემებს საინჟინრო ინსტიტუტის ბიუჯეტისათვის, მონიტორინგის განყოფილებისათვის. ასევე, როგორც ყოველ წელს ხდება ხოლმე, სახელმწიფომ გამოყო თანხები სენსორული ელექტრონიკისა და მასალათმცოდნეობის სამეცნიერო ტექნოლოგიური ცენტრისთვის, გეოეკოლოგიური მონიტორინგის განყოფილებისთვის და სტუ-ს ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტისთვის. გარდა ამისა არსებობს სამი მუხლი, სადაც განსაზღვრულია თანხები, ესენია სუბსიდიების, საქონლისა და მომსახურების მუხლი და ე.წ. სხვა ხარჯების მუხლი.

**პროფ. დავით ჯაფარიძე:** მინდა ვთქვა, რომ ბიუჯეტი ძალიან დამძიმდა, მთელი რიგი პრობლემებია გადასატრელი, პროგრამული დაფინანსების საკითხები ჯერ კიდევ არა გვაქვს მოგვარებული. ჩვენ როცა დავამტკიცეთ ბიუჯეტი, ვთქვით, რომ მარტის ბოლოს პროგრამას დაგუბრუნდებოდით. აქაც სახსრები ზოგადად არის გაწერილი. ამასაც უნდა ხარჯთაღრიცხვა, ძალიან ბევრი სამუშაო იქნება იმისათვის, რომ ჩვენ ეს ბიუჯეტი შევასრულოთ. ყოველივე აქედან გამომდინარე, ქ-ნ ქეთევანის მიერ წარმოდგენილი საკითხით ჩვენი ბიუჯეტი იზრდება და ამიტომ ეს საკითხი უნდა დავამტკიცოთ.

**პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი:** რაც შეეხება დაცვას, მინდა ვთქვა რომ ბატონ არჩილთან და ასევე ჩვენთანაც იყო აზრი იმის თაობაზე, რომ ტექნიკურ უნივერსიტეტში არის ძალიან სერიოზული დანადგარები, რომლის უსაფრთხოებაზეც ტექნიკური უნივერსიტეტი პასუხისმგებელია. ამიტომ სტუ-ს რეორგანიზაციის შედეგად მთავრობის დადგენილებით შემოერთებული კვლევითი ინსტიტუტების დაცვის მიზნით, სტუ-ს დაცვის განყოფილებას უნდა დაემატოს – უფროსი სპეციალისტის 7 საშტატო ერთეული, სახელფასო ფონდით – 42000 ლარი წელიწადში; ასევე, შტატგარეშე მომუშავეთა რაოდენობას უნდა დაემატოს 57 დარაჯი, სახელფასო ფონდით – 205200 ლარი წელიწადში. აღნიშნული თანხების გადატანა ხორციელდება ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვაში და ნაერთ ბიუჯეტში. მაგრამ რატომ 57 დარაჯი? ამ თემაზე ბატონი რეზო მოგვაწოდის ინფორმაციას.

**ბ-ნი რეზო ქელდიშვილი:** მინდა გითხრათ რომ 4 ინსტიტუტში უკვე შევიყვანეთ დაცვა, ხოლო რაც შეეხება 57 დარაჯს, ისინი ჩვენ გადავანაწილეთ საგუშაგოებისა და ფართობის მიხედვით.

**პროფ. დავით ჯაფარიძე:** მე და ბატონმა რეზომ ვიმუშავეთ ერთობლივად და მინდა აღვნიშნო, რომ ნორმატივები დაცულია, მაგრამ მე წინააღმდეგი ვარ გამრავლოთ დაცვის ხალხი, რადგან მათი ხარჯები გაიზარდა შვიდასიათასამდე, ამიტომ მიმაჩნია, რომ ავტომატიზებული დაცვა გაცილებით უკეთესია.

**პროფ. გივი გოლეტიანი:** მე მესმის, რომ ბატონი დავითი ცდილობს თანხები დაზოგოს, მაგრამ ინსტიტუტში, სადაც არის ისეთი მანქანა-დანადგარები, რომელსაც ავტომატიზებული დაცვა ვერ უშველის, ამიტომ მიმაჩნია რომ ორი კაცი მაინც უნდა დარჩეს შენობაში.

**სპიკერი:** მიმაჩნია, რომ უნდა დაეუჭიროთ მხარი ამ წინადადებას, რადგან შენობებს დაცვა სჭირდება, მაგრამ სავსებით შესაძლებლად მიმაჩნია ბატონი დავითის წინადადებაც, რადგან ყველგან ავტომატიზებულ სისტემებზე გადადის დაცვა, მაგრამ ამას სჭირდება ოპერატიული ჯგუფი. ცუდი არ იქნება, თუ ჩვენ სამომავლოდ ამაზეც ვიფიქრებთ.

**სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა მეათე საკითხი, რომელიც კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.**

## ბ ა დ ა ვ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №9

**სტუ-ს საშტატო განრიგისა და ნაერთ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ**

წარმომადგენლობითი საბჭო აღნიშნავს, რომ სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა (წერილი №18, 23.02.11) „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 და 24-ე მუხლების შესაბამისად, საბჭოს დასამტკიცებლად წარმოუდგინა უნივერსიტეტის საშტატო განრიგში და ნაერთ ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები. იგი ითხოვს მთავრობის დადგენილებებით (№220. 03.08.2010; №210. 27.07.2010; №185. 09.07.2010; №306. 13.10.2010; №279. 10.09.2010) შემოერთებული კვლევითი ინსტიტუტების ქონების დაცვის მიზნით, დაცვის განყოფილებას დაემატოს უფროსი სპეციალისტის 7 საშტატო ერთეული, სახელფასო ფონდით – 42000 ლარი წელიწადში. შტატგარეშე მომუშავეთა რაოდენობას დაემატოს 57 დარაჯი, სახელფასო ფონდით – 205200 ლარი წელიწადში. ადმინისტრაციის წინადადებით აღნიშნული თანხების გადატანა განხორციელდეს ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში ფასიანი სწავლების სუბსიდიების მუხლიდან და 42 000 ლარი გადატანილ იქნეს შრომის ანაზღაურების მუხლის ხელფასის პუნქტში, ხოლო – 205200 ლარი სუბსიდიებიდან გადატანილ იქნეს შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში.

აღნიშნულ საკითხზე იმსჯელა წარმომადგენლობითი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა მუდმივმოქმედმა კომისიამ და შესაძლებლად მიიჩნია ამ ცვლილებების განხორციელება.

საბჭომ გადაწყვიტა:

1. სტუ-ს დაცვის განყოფილებას დაემატოს უფროსი სპეციალისტის 7 საშტატო ერთეული, სახელფასო ფონდით – 42000 ლარი. შტატგარეშე მომუშავეთა რაოდენობას დაემატოს 57 დარაჯი, სახელფასო ფონდით – 205200 ლარი. შესაბამისად, განხორცილდეს ცვლილება ადმინისტრაციის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში ფასიანი სწავლების სუბსიდიების მუხლიდან 42000 ლარი გადატანილ იქნეს შრომის ანაზღაურების მუხლის ხელფასის პუნქტში, ხოლო 205200 ლარი – შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა შეიტანოს სათანადო ცვლილებანი ნაერთ ბიუჯეტში და საშტატო განრიგში 2011 წლის 1 მარტიდან.

## ბ ა დ ა ვ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №11

მთავრობის დადგენილებებით (№220. 03.08.2010; №210. 27.07.2010; №185. 09.07.2010; №306. 13.10.2010; №279. 10.09.2010) სტუ-სთან შემოერთებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების საშტატო განრიგების და მათი 2011 წლის ბიუჯეტების დამტკიცების შესახებ

საბჭო აღნიშნავს, რომ საქათველოს მთავრობის №220. 03.08.2010; №210. 27.07.2010; №185. 09.07.2010; №306. 13.10.2010; №279. 10.09.2010 დადგენილებებით სტუ-ს შემოუერთდა 12 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. მთავრობამ ამ ინსტიტუტების დასაფინანსებლად 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყო 1 610 280 ლარი. აღნიშნული თანხა განაწილდა შემდეგნაირად:

- ვლადიმერ ჭავჭავანიძის სახელობის კიბერნეტიკის ინსტიტუტის საბიუჯეტო სახსრები განისაზღვრა 394830 ლარით;
- ნიკო მუსხელიშვილის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის საბიუჯეტო სახსრები განისაზღვრა 163170 ლარით;
- არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის საბიუჯეტო სახსრები განისაზღვრა 249480 ლარით;
- კვების მრეწველობის ინსტიტუტის საბიუჯეტო სახსრები განისაზღვრა 86580 ლარით;
- მემბრანული ტექნოლოგიების საინჟინრო ინსტიტუტის

- საბიუჯეტო სახსრები განისაზღვრა 18540 ლარით;
- წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის საბიუჯეტო სახსრები განისაზღვრა 151830 ლარით;
- ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის საბიუჯეტო სახსრები განისაზღვრა 74340 ლარით;
- ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის საბიუჯეტო სახსრები განისაზღვრა 215460 ლარით;
- ინსტიტუტ „ტალღის“ საბიუჯეტო სახსრები განისაზღვრა 39330 ლარით;
- საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის საბიუჯეტო სახსრები განისაზღვრა 77670 ლარით;
- ინსტიტუტ „ტექინფორმის“ საბიუჯეტო სახსრები განისაზღვრა 89190 ლარით;
- ბიოტექნოლოგიის ცენტრის საბიუჯეტო სახსრები განისაზღვრა 49860 ლარით.

გამოყოფილი თანხების შესაბამისად სტუ-ს ადმინისტრაციის მიერ თითოეული ინსტიტუტისთვის შედგენილია 2011 წლის ბიუჯეტის ხარჯთაღრიცხვა და წარმოდგენილია შესაბამისი საშტატო განრიგები.

აღნიშნულ საკითხზე იმსჯელა წარმომადგენლობითი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა მუდმივმოქმედმა კომისიამ და შესაძლებლად მიიჩნია წარმოდგენილი ბიუჯეტების და საშტატო განრიგების დამტკიცება.

საბჭომ გადაწყვიტა:

დატკიცდეს სტუ-სთან შემოერთებული ინსტიტუტების 2011 წლის ბიუჯეტები:

1.

- ვლადიმერ ჭავჭავანიძის სახელობის კიბერნეტიკის ინსტიტუტის 2011 წლის ბიუჯეტი განისაზღვროს 394830 ლარით;
- ნიკო მუსხელიშვილის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის 2011 წლის ბიუჯეტი განისაზღვროს 163170 ლარით;
- არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის 2011 წლის ბიუჯეტი განისაზღვროს 249480 ლარით;
- კეების მრეწველობის ინსტიტუტის 2011 წლის ბიუჯეტი განისაზღვროს 86580 ლარით;

- მემბრანული ტექნოლოგიების საინჟინრო ინსტიტუტის 2011 წლის ბიუჯეტი განისაზღვროს 18540 ლარით;
- წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის 2011 წლის ბიუჯეტი განისაზღვროს 151830 ლარით;
- ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის 2011 წლის ბიუჯეტი განისაზღვროს 74340 ლარით;
- ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის 2011 წლის ბიუჯეტი განისაზღვროს 215460 ლარით;
- ინსტიტუტ „ტალღის“ 2011 წლის ბიუჯეტი განისაზღვროს 39330 ლარით;
- საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის 2011 წლის ბიუჯეტი განისაზღვროს 77670 ლარით;
- ინსტიტუტ „ტექნიფორმის“ 2011 წლის ბიუჯეტი განისაზღვროს 89190 ლარით;
- ბიოტექნოლოგიის ცენტრის 2011 წლის ბიუჯეტი განისაზღვროს 49860 ლარით.

2. დამტკიცდეს ზემოთ ჩამოთვლილი ინსტიტუტების

- ა) 2011 წლის ბიუჯეტების საშტატო განრიგები (დანართები №1-12);
- ბ) ) 2011 წლის ბიუჯეტების ხარჯთაღრიცხვები (დანართი №1-12).

3. სტუ-ის ადმინისტრაციამ დამტკიცებული 2011 წლის საშტატო განრიგებისა და 2011 წლის ბიუჯეტების ხარჯთაღრიცხვების შესაბამისად განახორციელოს შემოერთებული ინსტიტუტების დაფინანსება.

ყველა ზემოაღნიშნული ცვლილება განხორციელდეს 2011 წლის 1 მარტიდან.

**ბ ა დ ა ო მ ა რ ა ტ ი ლ ე ბ ა №12**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ სტუ-ს უმაღლესი საგანმანათლებლო კვლევითი პროგრამების დასაფინანსებლად გამოყოფილი ფინანსების განაწილების შესახებ

საბჭო აღნიშნავს, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა (წერილი №18, 23.02.11) წარმოადგინა საკითხი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ სტუ-ს უმაღლესი საგანმანათლებლო კვლევითი პროგრამის დასაფინანსებლად (წერილი № 09.1–20/818, 28.01.2011წ.) გამოყოფილი 3

610 280 ლარის განაწილების დამტკიცების შესახებ. გამოყოფილი თანხებიდან შემოერთებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 1 610 280 ლარი, ხოლო 2 000 000 ლარი – უმაღლესი საგანმანათლებლო კვლევითი პროგრამების დასაფინანსებლად. შემოერთებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისათვის გამოყოფილი ფინანსების განაწილება დამტკიცებულია სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს №11 გადაწყვეტილებით. 2 000 000 ლარიდან სტუ-ს ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტს გამოეყო 462400 ლარი, საიდანაც 451380 ლარი ფინანსდება სუფსიდიების მუხლიდან, ხოლო 11020 ლარი – არაფინანსური აქტივებიდან. გეოეკოლოგიური მონიტორინგის განყოფილებას გამოეყო 16940 ლარი, სენსორული ელექტრონიკისა და მასალათმცოდნეობის სამეცნიერო-ტექნოლოგიურ ცენტრს – 9708 ლარი, სამეცნიერო პროექტების დასაფინანსებლად – 772340 ლარი, სხვა ხარჯების მუხლში გათვალისწინებულია 54258 ლარი ობოლ და მშობელთა მზრუნველობამოკლებულ სტუდენტთა სწავლების გადასახადი; არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით 99456 ლარი გამოყოფილია კომპიუტერული ტექნიკისა და სხვა ელექტრომომწყობილებების შესაძენად. 595918 ლარი დატოვებულია სუფსიდიების მუხლში, რომლითაც გათვალისწინებულია, წლის განმავლობაში სტუ-ს მიერ სასწავლო და სამეცნიერო კვლევითი პროგრამების დაზუსტების შემდგომ, დამატებითი ხარჯების დაფინანსება.

შემოერთებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მიერ სამეცნიერო თემებიდან მოპოვებულია 966 472 ლარის ოდენობის გრანტები, რაც იწვევს სტუ-ს ნაერთი ბიუჯეტში სამეცნიერო გრანტების მოცულობის ზრდას 1 584 761 ლარამდე. შესაბამისად, იზრდება გრანტების ხარჯვითი ნაწილი. მთლიანობაში ნაერთი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი იზრდება 4 576 752 ლარით, ანალოგიურად იზრდება ხარჯვითი ნაწილიც.

აღნიშნულ საკითხზე არსებობს წარმომადგენლობითი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა მუდმივმოქმედი კომისიის დადებითი დასკვნა.

#### საბჭომ გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ სტუ-ს საგანმანათლებლო-კვლევითი პროგრამების დასაფინანსებლად გამოყოფილი ფინანსების განაწილება წარმოდგენილი სახით (დანართი №2):
  - ა) სტუ-ს ნაგებობების, სპეციალური სისტემების და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის 2011 წლის ბიუჯეტი განისაზღვროს 462400 ლარით, საიდანაც 451380 ლარი დაფინანსდეს სუფსიდიებიდან, ხოლო 11020 ლარი – არაფინანსური აქტივებიდან. ინსტიტუტმა ბიუჯეტის გათვალისწინებული

სახსრების ხარჯვა განახორციელოს წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის (დანართი №3) შესაბამისად.

ბ) სენსორული ელექტრონიკისა და მასალათმცოდნეობის სამეცნიერო-ტექნოლოგიური ცენტრის 2011 წლის ბიუჯეტი განისაზღვროს 9708 ლარით. ცენტრმა ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსების ხარჯვა განახორციელოს წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის (დანართი №5) მიხედვით.

გ) გეოეკოლოგიური მონიტორინგის განყოფილების 2011 წლის ბიუჯეტი განისაზღვროს 16940 ლარით, განყოფილებამ ბიუჯეტით გამოყოფილი ფინანსების ხარჯვა განახორციელოს წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის (დანართი №4) მიხედვით.

დ) სხვა ხარჯების მუხლში 54258 ლარი დაუმტკიცდეს ობოლ და მშობელთა მზრუნველობამოკლებულ სტუდენტებს სწავლების გადასახადების დასაფარავად.

ე) საქონელი და მომსახურების მუხლით 772340 ლარით დამტკიცდეს სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დამატებით დასაფინანსებლად.

ვ) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით 99456 ლარი გამოყოფილია კომპიუტერული ტექნიკისა და სხვა ელექტრომოწყობილობების შესაძენად.

ზ) 595918 ლარი დატოვებულია სუფსიდიების მუხლში, რომლითაც გათვალისწინებულია, წლის განმავლობაში სტუ-ს მიერ სასწავლო და სამეცნიერო კვლევითი პროგრამების დაზუსტების შემდგომ, დაფინანსება დამატებითი ხარჯების.

2. დამტკიცდეს სტუ-ს 2011 წლის ნაერთ ბიუჯეტებში შემდეგი ცვლილება: ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი გაიზარდოს 4 576 752 ლარით, შესაბამისად გაიზარდოს ხარჯვითი ნაწილიც.

3. სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა შეიტანოს აღნიშნული ცვლილებები სტუ-ს 2011 წლის ნაერთ ბიუჯეტში.

**სპიკერი:** განვიხილოთ დღის წესრიგის მეთერთმეტე საკითხი – სტუ-ს სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის, სპორტისა და კულტურის განყოფილების სახელწოდების შეცვლის შესახებ – მომხსენებელი ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი.

**სპიკერი:** განყოფილების რეორგანიზაცია ხდება დეპარტამენტად, დასამალი არაა, რომ მათი ფინანსური მდგომარეობა გაუმჯობესდება, მაგრამ აქვე მინდა გითხრათ, რომ ჩვენ მოვისმინეთ და ვნახეთ განყოფილების მიერ გაწეული სამუშაოს შესახებ გასული წლის პრეზენტაცია და აღვნიშნავ, რომ საკმაოდ დეტვირთვით მუშაობს ეს ხალხი და შედეგიც აქვთ. მე პირადად მხარე ვუჭერ მათ



გადაწყვეტილებას სახელწოდების შეცვლის შესახებ. პირველ რიგში ბატონი ბორისია ამის ღირსი, ჩვენ ყველამ ვიცით მისი თავგანწირვა და შრომისუნარიანობა.

**პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი:** მინდა დავამატო, რომ ახალგაზრდა კადრებზე არის დიდი მოთხოვნა და ჩვენ მათ მოტივაცია უნდა მივცეთ.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა მეთერთმეტე საკითხი, რომელიც კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

### ბ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №10

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 2 მარტის №9 სხდომაზე პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ს სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის, სპორტისა და კულტურის განყოფილების სახელწოდების შეცვლის შესახებ.

*წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით დამტკიცდა სტუ-ს სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის, სპორტისა და კულტურის განყოფილებას შეეცვალოს სახელი და ეწოდოს სტუ-ს სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის, სპორტისა და კულტურის დეპარტამენტი.*

**სპიკერი:** განვიხილოთ დღის წესრიგის მეთორმეტე საკითხი – ბიონჟინერიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დაფინანსების შესახებ – მომხსენებელი ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი.

**პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი:** წარმოგიდგენთ საკითხს ბიონჟინერიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დაფინანსების შესახებ.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა მეთორმეტე საკითხი, რომელიც კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

### ბ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №13

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 2 მარტის №9 სხდომაზე პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი ბიონჟინერიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დაფინანსების შესახებ.

*წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით დამტკიცდა საკითხი ბიონჟინერიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დაფინანსების შესახებ. სუბსიდიის მუხლიდან 77.932 ლარი გადატანილ იქნეს აღნიშნული სამეცნიერო-*

*კვლევითი ცენტრის საქმიანობის დასაფინანსებლად, კერძოდ, საქონელი და მომსახურების მუხლის შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების პუნქტში.*

**სპიკერი:** განვიხილოთ დღის წესრიგის მეცამეტე საკითხი – ხელფასზე ყოველთვიური დანამატის შესახებ – მომხსენებელი ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი.

**პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი:** ეს დანამატი იქნება მხოლოდ პირველ აგვისტომდე და გაიცემა შემდეგი კატეგორიის პროფესორებზე: პირველი გახლავთ სტუ-ს პროფესიული განათლების სასწავლო სამეცნიერო ცენტრის დირექტორის მოადგილის, ლალი ღოღელიანის მოხსენებითი ბარათი, სადაც იგი მოგვმართავს თხოვნით, რომ სტუ-ს პროფესიული განათლების სისტემაში I, II, III და IV სწავლების საფეხურების შემოდებასთან დაკავშირებით გაიზარდა სტუდენტთა კონტინგენტი და შესაბამისად სამუშაოს მოცულობა, ამიტომ აუცილებელია თანამშრომლებს დაენიშნოთ ხელფასზე ყოველთვიური დანამატი 50%-ის ოდენობით და მეორე გახლავთ ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანის, რ.ქუთათელაძის მოხსენებითი ბარათი სადაც იგი წერს, რომ ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის არქივარიუსს, ქ. მარდიშვილს, სამუშაოს მოცულობის გაზრდასთან დაკავშირებით 2011 წლის 1 აგვისტომდე განესაზღვროს ყოველთვიური სახელფასო დანამატი 70 ლარის ოდენობით. რადგან ქ. მარდიშვილს გაზრდილი კონტინგენტიდან გამომდინარე, უწევს როგორც არქივარიუსის, ასევე სპეციალისტის ფუნქციის შეთავსებაც. და ბოლო გახლავთ სტუ-ს სამეურნეო და სარემონტო-საექსპლუატაციო დეპარტამენტის უფროსის, ი. კომახიძის მოხსენებითი ბარათი სამეურნეო და სარემონტო-საექსპლუატაციო დეპარტამენტში შემავალი გაზისა და თბომომარაგების სამსახურის ქვემოთ ჩამოთვლილ თანამშრომლებს, ამავე სისტემაში მომუშავე 4 თანამშრომლის სამსახურიდან განთავისუფლებისა და დარჩენილ თანამშრომელთა სამუშაოს მოცულობის გაზრდასთან დაკავშირებით 2011 წლის 1 აგვისტომდე განესაზღვროთ ყოველთვიური სახელფასო დანამატი; კერძოდ: 1. გ. \.დანელია–360ლ; 2. გ.ხაჩიაური–150ლ; 3. ზ.გოგაძე – 150ლ; 4. თ.გოგუაძე –150ლ.

**პროფ. დავით ჯაფარიძე:** პირველი საკითხი დანამატებთან დაკავშირებით კომისიაზე არ გაგვიხილავს. თუ გადავდივართ პრემიალურ სასტემაზე, ერთხელ და სამუდამოდ შევწყვიტოთ ეს დამატებითი ხელფასები და შემდეგ ის ხალხი, ვინც კარგად მუშაობს, გავითვალისწინოთ პრემიალურ სისტემაში. არ შეიძლება მსგავსი ქმედებები ბიუჯეტთან მიმართებაში, ყოველდღე ხარჯი იზრდება და ასევე დამტკიცებული რიცხვებიც განიცდიან ცვლილებებს.

**პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი:** კი, მაგრამ ბატონო დავით, ესენი პროფესორები არ არიან და პრემიალურ მუხლში ვერ იქნებიან გათვალისწინებულნი, აკადემიური საბჭო კი ეთანხმება მათთვის დანამატის მიცემას.

**პროფ. დავით ჯაფარიძე:** მაშინ გვითხრან, საიდან ვაფინანსებთ, რომელ ხარჯებს ვამცირებთ და, საერთოდ, ჩვენი მოსაზრებით ეს საკითხი უნდა გადაიდოს.

**სპიკერი:** მაშინ მივიღოთ ასეთი გადაწყვეტილება, ბატონ დავითს და ბატონ იგორს ვთხოვოთ მოამზადონ ერთობლივი დასკვნა, რის საფუძველზეც პროფესიული განათლების სისტემაში ყოველთვიური დანამატის შესახებ ცვლილებებს დაუვებრუნდეთ მომდევნო სხდომაზე. ხოლო დანარჩენ ორ საკითხს ვუყაროს კენჭი.

**სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა მეცამეტე საკითხი ზემოაღნიშნული შენიშვნის გათვალისწინებით, რომელიც კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.**

#### **ბ ა დ ა ო ყ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №14**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 2 მარტის №9 სხდომაზე პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი ხელფასზე ყოველთვიური დანამატის შესახებ.

*წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით დამტკიცდა ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის არქივარიუსს ქ.მარლიშვილს, სამუშაოს მოცულობის გაზრდასთან დაკავშირებით, 2011 წლის 1 აგვისტომდე განესაზღვროს ყოველთვიური სახელფასო დანამატი 70 ლარის ოდენობით.*

*ასევე, სტუ-ს სამეურნეო და სარემონტო-საექსპლუატაციო დეპარტამენტში შემავალი გაზისა და თბომომარაგების სამსახურის ქვემოთ ჩამოთვლილ თანამშრომლებს, ამავე სისტემაში მომუშავე 4 თანამშრომლის სამსახურიდან განთავისუფლებისა და დარჩენილ თანამშრომელთა სამუშაოს მოცულობის გაზრდასთან დაკავშირებით, 2011 წლის 1 აგვისტომდე განესაზღვროთ ყოველთვიური სახელფასო დანამატი: 1. გ. დანელიას – 360ლ; 2. გ. ხაჩიაურს – 150ლ; 3. ზ. გოგაძეს – 150ლ; 4. თ. გოგუაძეს – 150ლ.*

**სპიკერი:** განვიხილოთ დღის წესრიგის მეოთხეხმეტე საკითხი – ვეტერან კალათბურთელთათვის ფინანსური დახმარების შესახებ – მომხსენებელი ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, პროფ. ქ. ქოქრაშვილი.

**პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი:** ბატონი ბორის გითოლენდიას ინიციატივით ვეტერან კალათბურთელთათვის ფედერაციას დახმარების სახით უნდა გადავურიცხოთ 6 000 ლარი. სხვათა შორის, მიზნობრივად მიდის ეს თანხა, ვინაიდან ამ ფედერაციამ ტექნიკურ უნივერსიტეტს გადმოსცა საინტერესო სპორტული ინვენტარი, რომლის ღირებულებაც გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე ექვსი ათასი ლარი. ასევე, უნდა ვთქვა, რომ ვეტერან კალათბურთელთა ფედერაციაში ყოფილი სტუ-ს სტუდენტებიც არიან გაერთიანებულნი.

**სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა მეთოთხმეტე საკითხი, რომელიც კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.**

### **ბ ა დ ა ო ყ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №15**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 2 მარტის №9 სხდომაზე პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი ვეტერან კალათბურთელთათვის ფინანსური დახმარების შესახებ.

*წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით დამტკიცდა სტუ-ს ნაერთი ბიუჯეტის წარმომადგენლობითი ხარჯების მუხლის, სპორტული ღონისძიებების და სტუდენტთა სოციალური პროგრამების პუნქტიდან ვეტერან კალათბურთელთა ფონდში გადაირიცხოს 6 000 ლარი.*

**მიმდინარე საკითხი:**

**პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი:** წარმოგიდგინო საკითხს სტუ-სთვის სარგებლობაში გადმოცემული თბილისში, სანდრო ეულის ქ. №3-ში მდებარე შენობის I სართულზე არსებული 285 კვ.მ ფართობის იჯარით გაცემის შესახებ.

**სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სტუ-სთვის სარგებლობაში გადმოცემული თბილისში, სანდრო ეულის ქ. №3-ში მდებარე შენობის I სართულზე არსებული 285 კვ.მ ფართობის იჯარით გაცემის შესახებ, რომელიც კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.**

### **ბ ა დ ა ო ყ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №16**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 2 მარტის №9 სხდომაზე პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-სთვის სარგებლობაში გადმოცემული თბილისში, სანდრო ეულის ქ. №3-ში მდებარე შენობის I სართულზე არსებული 285 კვ.მ ფართობის იჯარით გაცემის შესახებ.

*წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით დამტკიცდა სტუ-სთვის სარგებლობაში გადმოცემული თბილისში, სანდრო ეულის ქ. №3-ში მდებარე შენობის I სართულზე არსებული 285 კვ.მ ფართობის იჯარით გაცემის საკითხი. აღნიშნული ფართი გაიცემა კომერციული საქმიანობის მიზნით, 2 წლის ვადით.*

სპიკერმა, პროფ. ჯემალ გახოკიძემ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს აუწყა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა, რექტორს და საბჭოს წევრებს მადლობა გადაუხადა სხდომაში მონაწილეობისთვის და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

სხდომის მდივანი,

სტუდენტი

თამარ ბუზიაშვილი